

დამტკიცებულია:

„აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის“
გამგეობის 2016 წლის 10 ოქტომბრის სხდომის გადაწყვეტილებით

ა(ა)იპ „საქართველოს აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა პროფესიული ფედერაციის“ წევრი აუდიტური ფირმებისა და ინდივიდუალური აუდიტორების საქმიანობის ხარისხის კონტროლის კომიტეტის დებულება

წინამდებარე დებულება შემუშავებულია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. იგი განსაზღვრავს კომისიის საქმიანობის სამართლებრივ საფუძვლებს, საქმიანობის მიმართულებებსა და მუშაობის რეგლამენტს.

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგ არის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ შემუშავებული ხარისხის კონტროლის სისტემის შეფასება აუდიტორული დასკვნებისა და ამ დასკვნების მომზადების პროცესის შემოწმებით.

ფედერაციის ხარისხის კონტროლის კომისია ითვლება მუდმივმოქმედ ორგანოდ.

ფედერაციის კომისიის ძირითადი ამოცანაა მისი წევრების მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის, აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების, აუდიტის პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა შესრულების ხარისხზე გარე კონტროლის განხორციელება.

წინამდებარე დებულების შემუშავების და კომისიის საქმიანობის სამართლებრივი და ნორმატიული საფუძვლებია:

✓ საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ“;

✓ აიპ “აუდიტორთა, ბუღალტერთა და ფინანსურ მენეჯერთა ფედერაციის”
წესდება;

✓ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის საბჭოს გადაწყვეტილებები;

✓ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ნორმატიული აქტები;

✓ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები;

✓ ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტები;

✓ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტები;

✓ აუდიტის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტი;

✓ აუდიტის ეთიკის კოდექსი;

✓ სხვა ნორმატიული სამართლებრივი აქტები, რომლებიც არეგულირებენ აუდიტორულ საქმიანობას საქართველოში.

1.6. წინამდებარე დებულება დამტკიცებულია ფედერაციის ყრილობის მიერ და სავალდებულოა ფედერაციის წევრი აუდიტორული ფირმებისა და ინდივიდუალური აუდიტორებისათვის.

2. ხარისხის კონტროლის კომისიის ფუნქციები

2.1. თავის საქმიანობაში კომისია ასრულებს შემდეგ ფუნქციებს:

ა) შეიმუშავებს თავისი საქმიანობის რეგლამენტებს და პრინციპებს აუდიტის ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტის და წინამდებარე დებულების მოთხოვნათა შესაბამისად;

ბ) შეიმუშავებს და წარუდგენს ფედერაციის გამგეობას დასამტკიცებლად აუდიტორი ფირმებისა და აუდიტორთა მუშაობის ხარისხის, მათ მიერ დამოუკიდებლობის პრინციპის და პროფესიული ეთიკის კოდექსის მოთხოვნათა დაცვის გარე კონტროლის ორგანიზაციისა და ჩატარების მარეგულირებელ შიდანორმატიულ აქტებს;

გ) ამტკიცებს აუდიტორული ფირმების და აუდიტორების მუშაობის ხარისხის კონტროლის ჩატარებაზე უფლებამოსილ ექსპერტებს (შემდგომში “ექსპერტი”);

დ) განიხილავს ექსპერტთა მიერ მომზადებულ მასალებს და შეაქვს ფედერაციის გამგეობაზე წინადადებები აუდიტორული ფორმების და აუდიტორების მუშაობის ხარისხის გარე კონტროლის შედეგების მიხედვით გადაწყვეტილების მისაღებად;

ე) განიხილავს და წყვეტს კონფლიქტურ სიტუაციებს, რომლებიც წარმოიშობა ექსპერტებსა და აუდიტორულ ფორმებს ან აუდიტორებს შორის აუდიტის ხარისხის კონტროლის შემოწმების პროცესში;

ვ) ამზადებს ინფორმაციას აუდიტორული ფორმებისა და აუდიტორების მუშაობის ხარისხზე. შეიმუშავებს რეკომენდაციებს აუდიტის ხარისხის კონტროლის სრულყოფაზე;

ზ) მუშაობის პროცესში ურთიერთობს ფედერაციის სხვა კომისიებთან;

თ) ამზადებს და მონაწილეობას იღებს კონფერენციებში, სემინარებსა და „მრგვალ მაგიდებში“ ფედერაციის წევრთათვის კომისიის თემატიკაზე;

ი) ამზადებს ხარისხის კონტროლის ჩატარების გეგმებს და ათანხმებს შესაბამის აუდიტორულ ფორმებსა და აუდიტორებთან;

კ) ასრულებს სხვა ფუნქციებს, დაკავშირებულს აუდიტორული ფორმებისა და აუდიტორების მუშაობის ხარისხის გარე კონტროლთან.

3. კომისიის სტრუქტურა და მუშაობის ორგანიზაცია

3.1. კომისიას ხელმძღვანელობს კომისიის თავმჯდომარე, რომელსაც ირჩევს და ამტკიცებს ფედერაციის გამგეობა.

3.2. კომისიის თავმჯდომარე უზრუნველყოფს იმ ფუნქციების შესრულებას, რომელიც ეკისრება კომისიას წინამდებარე დებულებით. კერძოდ:

- ✓ ხელმძღვანელობს კომისიის მუშაობას;
- ✓ შეიმუშავებს კომისიის წევრებთან ერთად მუშაობის გეგმებს და ორგანიზაციას უკეთებს მის დამტკიცებას;
- ✓ ორგანიზებას უკეთებს კომისიის სხდომების მომზადებას, მოწვევას და ჩატარებას, ხელმძღვანელობს სხდომის მუშაობას;
- ✓ ინფორმაციას აწვდის ფედერაციის გამგეობას კომისიის მუშაობის შესახებ;

✓ ამტკიცებს კომისიის გადაწყვეტილებებს ხარისხის კონტროლის შემოწმების ჩატარებაზე ფედერაციის წევრებთან და ამტკიცებს კომისიის სხდომის ოქმებით კონტროლის შედეგებს, წარადგენს მათ გამგეობაზე;

✓ უზრუნველყოფს კომისიის მუშაობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებას და შენახვას;

✓ ორგანიზაციას უკეთებს ყრილობის და გამგეობის იმ გადაწყვეტილებების სესრულებას, რომლებიც განეკუთვნება კომისიის კომპეტენციას.

3.3. კომისია შედგება არაუმეტეს 7 წევრისა, როლებიც პერსონალურად მტკიცდება გამგეობის მიერ. ისინი ითვლებიან მუდმივ წევრებად გადამწყვეტი ხმის უფლებით.

3.4. კომისიის წევრთა წარდგენა შეუძლია როგორც კომისიის თავმჯდომარეს, ასევე გამგეობის წევრებს.

3.5. კომისიის წევრი შეიძლება გახდეს როგორც ფიზიკური პირი, ფედერაციის წევრებიდან, ასევე წევრი იურიდიული პირის წარმომადგენელი. განსაკუთრებულ შემთხვევაში დასაშვებია კომისიის წევრად ფედერაციის არაწევრი ფიზიკური პირის მოწვევაც.

3.6. კომისიის წევრები თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ ანაზღაურების გარეშე. იმ შემთხვევაში, თუ კომისიის წევრი არ არის დასაქმებული სხვა ანაზღაურებად სამუშაოზე, დასაშვებია მისთვის ანაზღაურების განსაზღვრაც.

3.7. კომისიის წევრად აირჩევა პირი, რომელსაც გააჩნია უმაღლესი ეკონომიკური ან იურიდიული განათლება და აუდიტორულ საქმიანობასი პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ 5 წლიანი გამოცდილება, ბოლო 7 წლის მანძილზე.

3.8. კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს გამგეობას წარუდგინოს მოადგილის კანდიდატურა არჩეული კომისიის წევრებიდან.

3.9. კომისიის მუშაობის მიმართულებების მიხედვით შესაძლებელია თავმჯდომარეების მოადგილეების არჩევა ხარისხის კონტროლის და პროფესიული ეთიკის მიმართულებებით.

3.10. გამგეობის გადაწყვეტილებით კომისიაში სამუშაოდ შესაძლებელია ანაზღაურებით ან ანაზღაურების გარეშე მოწვეულ იქნან სპეციალისტები

(ექსპერტები, კონსულტანტები და ა.შ), რომლებიც არ ითვლებიან კომისიის წევრებად. მათი ანაზღაურება მოხდება ფედერაციის სახსრებიდან.

3.11. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით დასაშვებია ფედერაციის წევრების მონაწილეობა გამგეობის მუშაობაში. ამავე დროს მათ გააჩნიათ მხოლოდ სათათბირო ხმის უფლება.

3.12. ფედერაციის წევრი, რომელიც შესთავაზებს კომისიას განსახილველ საკითხს, უფლება აქვს დაესწროს მის განხილვას სათათბირო ხმის უფლებით. კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნულ პირს აცნობოს კომისიის შესაბამისი სხდომის ჩატარების ადგილი და დრო.

3.13. კომისიის თავმჯდომარე აირჩევა 3 წლიანი ვადით. მისი უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძველი შესაძლოა გახდეს:

- ა) პირადი განცხადება;
- ბ) ფედერაციის გამგეობის გადაწყვეტილება;
- გ) კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი.

4. კომისიის მუშაობის რეგლამენტი

4.1. კომისიის სხდომები ტარდება კომისიის მიერ შემუშავებული და ფედერაციის გამგეობის მიერ დამტკიცებული კომისიის სამუშაო გეგმის შესაბამისად, მაგრამ არანაკლებ ერთჯერ კალენდარული თვის განმავლობაში.

4.2. კომისიას უფლება აქვს კომისიის თავმჯდომარის ან წევრთა მოთხოვნით მოიწვიოს რიგგარეშე სხდომა.

4.3. ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის ან გამგეობის წევრთა მოთხოვნით კომისიის თავმჯდომარე ნიშნავს კომისიის რიგგარეშე სხდომას მოთხოვნიდან 5 დღის განმავლობაში, იმ დღის წესრიგით რომელიც შეესაბამება მოთხოვნას.

4.4. კომისიის ყველა სხდომა ფორმდება შესაბამისი ოქმით ორ ეგზემპლარად რომლის ერთი პირი ინახება კომისიაში, ხოლო მეორე გადაეცემა ფედერაციის გამგეობას.

4.5. კომისია უფლებამოსილია ჩაატაროს სხდომა, თუ მას ესწრება ხმის უფლების მქონე წევრთა 2/3.

4.6. გადაწყვეტილება კომისიის მიერ მიიღება კოლეგიალურად, ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მის სასარგებლოდ ხმა მისცა დამსწრე კომისიის წევრთა ნახევარზე მეტმა. თანაბარი ხმების შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება თავმჯდომარის ხმას.

4.7. კომისიის სხდომაზე განიხილება ის საკითხები, რომლებიც ჩართულია დღის წესრიგში. დღის წესრიგის ფორმირება ხდება კომისიის თავმჯდომარის მიერ სამუშაო გეგმის ან ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის დავალების შესაბამისად.

4.8. კომისიის თავმჯდომარის ინიციატივით შესაძლოა დღის წესრიგში დამატებითი საკითხების შეტანაც, თუ მას მხარს დაუჭერს დამსწრე კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

4.9. კომისიის თავმჯდომარე ვალდებულია უზრუნველყოს სხდომის ოქმების და თანამდები მასალების შენახვა.

5. კომისიის გადაწყვეტილება

5.1. კომისიის გადაწყვეტილება ატარებს სარეკომენდაციო ხასიათს ფედერაციის გამგეობისათვის.

5.2. კომისიის გადაწყვეტილებაში მიეთითება:

5.2.1. გადაწყვეტილების ნომერი და თარიღი (ოქმის მიხედვით), გადაწყვეტილების მიღების ადგილი და დრო, იმის მიტიტებით, გადაწყვეტილება მიღებულია რიგით თუ რიგგარეშე სხდომაზე;

5.2.2. პირები, რომელთა ინიციატივითაც იქნა მოწვეული სხდომა;

5.2.3. დამსწრე წევრები და ინფორმაცია ქვორუმის შესახებ;

5.2.4. დღის წესრიგი;

5.2.5. ინფორმაცია მომხსენებელთა და გამომსვლელთა შესახებ და მათი შინაარსი;

5.2.6. დასკვნები, რეკომენდაციები და მიღებული გადაწყვეტილება სათანადო დასაბუთებით;

5.2.7. სხვა სახის ინფორმაცია, დაკავსირებული კომისიის სხდომასთან.

5.3. გადაწყვეტილება (სხდომის ოქმი) ხელმოწერილი უნდა იყოს სხდომის თავმჯდომარის და მდივნის მიერ.

5.4. გადაწყვეტილებები (სხდომის ოქმები), დავალებები კომისიაზე, კომისიაზე განხილული დოკუმენტები შეიკრება საქალაქო დეპუტატებში და ინახება 5 წლის ვადით.

6. კომისიის და მისი წევრების პასუხისმგებლობა და ანგარიშვალდებულება

6.1. ფედერაციის ყრილობის და გამგეობის სხდომების გადაწყვეტილებები, აგრეთვე ფედერაციის გამგეობის თავმჯდომარის წერილობითი მითითებები სავალდებულოა კომისიისათვის.

6.2. კომისია ყოველწლიურად, არაუგვიანეს საანგარიშოს მომდევნო წლის 25 იანვრისა, წარუდგენს ფედერაციის გამგეობას წერილობით ანგარიშს წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ.

6.3. კომისიის მუშაობაზე კონტროლის განხორციელება ევალება ფედერაციის გამგეობას და მის თავმჯდომარეს.

6.4. კომისიის თავმჯდომარეს ეკისრება პასუხისმგებლობა კომისიის მუშაობის შედეგებზე გამგეობისა და ყრილობისათვის წარდგენილი ინფორმაციის სისწორეზე.

6.5. კომისიის წევრთა პროფესიული კომპეტენციის ეჭვქვეშ დაყენების ან მათ მიერ ხარისხის კონტროლის პროცედურების დარღვევის შემთხვევაში, კომისიის თავმჯდომარეს უფლება აქვს კომისიის წევრთა 2/3 თანხმობით დააყენოს საკითხი გამგეობის წინაშე ამ წევრის კომისიიდან გაყვანის შესახებ.

6.6. კომისიის წევრებმა უნდა იმოქმედონ ფედერაციის ინტერესების შესაბამისად, განახორციელონ თავიანთი უფლებები და შეასრულონ მოვალეობები კეთილსინდისიერად და გააზრებულად. თავიანთი მოქმედებით ზიანი არ მიაყენონ ფედერაციის რეპუტაციას.

6.7. კომისიის წევრები ვალდებული არიან:

6.7.1. რეგულარულად მიიღონ მონაწილეობა კომისიის სხდომებში;

6.7.2. განაცხადონ ინტერესთა კონფლიქტის შესახებ, რომელსაც გავლენა შეუძლია იქონიოს დღის წესრიგით დაყენებული საკითხების ობიექტურად

გადაწყვეტაზე, შეიძლება წარმოიშვას წინააღმდეგობა წევრთა პირად დაინტერესებასა და ფედერაციის კანონიერ ინტერესებს შორის და ზიანი მიაყენოს ამ კანონიერ ინტერესებს;

6.7.3. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების დროს კენჭისყრისას იხელმძღვანელოს დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის, ობიექტურობის და კეთილმოსურნეობის პრინციპებით.

6.7.4. უზრუნველყოს (შეინახოს) კომისიაში მუშაობის დროს მიღებული ინფორმაციის და დოკუმენტების კონფიდენციალობა, რომლებიც შეადგენენ აუდიტორულ საიდუმლოს.

6.8. კომისიის წევრს უფლება აქვს:

6.8.1. კომისიის სხდომაზე განსახილველად გამოიტანოს აუდიტორებისა და აუდიტორული ფირმების მუშაობის ხარისხის გარე კონტროლის ორგანიზაციისა და განხორციელების სრულყოფის საკითხები.

6.8.2. კომისიის სხდომებზე დაიცვას თავისი პერსონალური შეხედულება განსახილველ საკითხზე (მათ შორის ოქმში შეტანით).

7. დებულების მოქმედება

7.1. წინამდებარე დებულება ძალაში შედის ფედერაციის ყრილობაზე დამტკიცების დღიდან და მოქმედებს სათანადო წესით მის გაუქმებამდე.

7.2. წინამდებარე დებულება შეიძლება შეიცვალოს ან შეივსოს ფედერაციის გამგეობის წარდგინებით, ფედერაციის ყრილობაზე.